89 წელი თქვენთან ერთად!

89 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი.

გამოცემის საიუბილეო, 90-ე წელი!



„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №18-19 (7072) 22 სექტემბერი 2022 წელი ● Facebook გაზეთი თერჯოლა

ახალ სასწავლო წელს გილოცავთ!

სასექტემბრო ზარები...

15 სექტემბერს, ორწლიანი კოვიდ-პანდემიური პერიოდის შემდეგ, ახალი 2022-2023 სასწალო წლის დაწყების მაუწყებელმა ზარებმა პირველად მოუხმეს საჯარო სკოლების მოსწავლეების სრულ შემადგენლობას.

განსაკუთრებულად ამაღლებული განწყობა იყო ამ დღეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში, სადაც სწავლა განაახლა 3773 ახალგაზრდამ, რომელთა შორის 332 პირველკლასელია.

15 სექტემბერს ახალი სასწავლო წლის დაწყება მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ, მუნიციპალიტეტის მერმა, ლაშა გოგიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარესთან, გიორგი ბარათაშვილთან, ასევე რუფოთისა და ღვანკითის მაჟორიტარ დეპუტატთან, შალვა ჭანკვეტაძესთან ერთად, სოფელ რუფოთში ახლად რეაბილიტირებული საჯარო სკოლიდან მიულოცეს ახალი სასწავლო წელი თერჯოლელებს, დაათვალიერეს საჯარო სკოლის შენობა და მოსწავლეებს კი წლის წარმატებები უსურვეს.

„მინდა მოგილოცოთ ახალი სასწავლო წლის დაწყება, განსაკუთრებით კი პირველკლასელებს, რომლებმაც დღეს პირველად შეაღეს სკოლის კარები სრულყოფილი ცოდნის მისაღებად. გისურვებთ, რომ თითოეული თქვენგანისთვის ეს წელი იყოს მშვიდობიანი და წარმატების მომტანი. თერჯოლის მუნიციპალიტეტში სასწავლო წელი ახალ გარემოში ორმა საჯარო სკოლა დაიწყო—აქ და ქვედა სიმონეთში, სადაც გაკეთდა სოფლის №2 საჯარო სკოლა. სკოლის ახალი შენობები თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, კეთილმოწყობილი და ადაპტირებულია. პროცესი მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება, დაგეგმილია ოთხი საჯარო სკოლის სრული განახლება. ვფიქრობ, ეს არის უდიდესი ინვესტიცია, რომელიც მომავალი თაობების აღზრდასა და განათლებაშია ჩადებული“—განაცხადა მუნიციპალიტეტის მერმა ლაშა გოგიაშვილმა.

რუფოთის საჯარო სკოლაში პროექტის ფარგლებში მოეწყო ცენტრალური გათბობის სისტემა, შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემო, რეკრეაციული სივრცე და ღია სპორტული ინფრასტრუქტურა. შენობის შიდა ნაწილში დამონტაჟებულია ლიფტი, ხოლო შენობის გარეთ გაკეთებულია პანდუსი, რაც შშმ პირებს შესაძლებლობას მისცემს უპრობლემოდ გადაადგილდნენ.

იმავე დღესვე, ხელმძღვანელი პირები ასევე იმყოფებოდნენ თერჯოლის №2 და ძევრის საჯარო სკოლებში, სადაც მუნიციპალიტეტის მერმა მნიშვნელოვანი სიახლე დააანონსა, საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის ფარგლებში სოფელ ძევრში ახალი საჯარო სკოლა აშენდება. სკოლის მოსწავლეები საგანმანათლებლო პროცესს კომფორტულ და ღირსეულ გარემოში გააგრძელებენ.

ღონისძიებას თერჯოლის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები, ასევე ძევრის, ჩხარისა და გოგნის მაჟორიტარი დეპუტატი მანუჩარ ფანჩულიძე, საკრებულოს წევრი **ნინო ჩხიკვაძე** და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

ახალი სასწავლო წელი დაიწყო... გილოცავთ!

ახალგაზრდები საქართველოს მომავლიდან!

2021-2022 სასწავლო წელს 298 ახალგაზრდამ დაამთავრა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლები. მათ შორის 60 მედალოსანია (49 ოქრო 11 ვერცხლი).

კურსდამთავრებულთა უმრავლესობამ უმაღლეს სასწავლებლებს მიაშურა და ბევრი გახდა კიდეც სტუდენტი.

აღსანიშნავია, რომ მათგან ხუთმა თერჯოლელმა ახალგაზრდამ სტუდენტობასთან ერთად 100%-იანი დაფინანსებაც მოიპოვა.

☞8

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

☞2

„თერჯოლას“ ამ ნომერთან ერთად მოითხოვეთ სპეციალური ჩანართი

დავით კლდიაშვილი 160

„თერჯოლას“ 2022 წლის 22 სექტემბრის ამ ჩანართით, რომელიც სახალხო მწერლის, დავით კლდიაშვილის 160 წლისთავს ეძღვნება, ჩვენ შევეცადეთ თქვენთვის გაგვეცნო ის ფაქტები და ამბები, რომლებიც დავით კლდიაშვილის სახელს უკავშირდება...



ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“, ტრადიციულად გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

ამ დღეებში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა ლაშა გოგიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარესთან, გიორგი ბარათაშვილთან, ძევრი-ჩხარისა და გოგნის მაჟორიტარ დეპუტატთან, მანუჩარ ფანჩულიძესთან ერთად, სოფელ ძევრში, მდინარე ძევრულას კარსტულ ხეობაში რეკრეაციული ზონის მოეწყობის სამუშაოები ადგილზე დაათვალიერა და დეტალურად გაეცნო მიმდინარე პროცესს.

პროექტის ფარგლებში, დაგეგმილია და მოეწყობა:

—საგვარჯილეს მიმდებარე ტერიტორიაზე ავტოპარკინგი.

—საინფორმაციო შენობა.

—საპიკნიკე ფანჩატურები.

—გამოქვაბულებამდე მისასვლელი ბილიკი.

—მდ. ძევრულაზე გადასახედი, გამჭვირვალე კონსტრუქციით.

—შშმ პირებზე ადაპტირებული გარემო.

—გარე განათების ქსელი.

აღნიშნული პროექტი, საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფონდის მიერ ფინანსდება.

პროექტის მიზანია, ძევრის ადმინისტრაციულ ერთეულში, საგვარჯილეს მღვიმეების მიმდებარედ არსებული ტერიტორიის რეკრეაციულ ზონად გარდაქმნა, რაც სოფელს ახალ შესაძლებლობას შემატებს.

ბავშვებზე ზრუნვით...

8 სექტემბერს საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის ფარგლებში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, ლაშა გოგიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარესთან, გიორგი ბარათაშვილთან ერთად ქალაქ თერჯოლაში №3 საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოები ადგილზე დაათვალიერა, დეტალურად გაეცნო პროექტის მიმდინარეობას და სამუშაოების ხარისხისა და ვადების დაცვის შესახებ ისაუბრა.

პროექტის ფარგლებში 120 აღსაზრდელზე გათვლილი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღი აშენდება, რომელიც ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. დამონტაჟდება ცენტრალური გათბობა და აღიჭურვება თანამედროვე ინვენტარით, გარდა შიდა ინფრასტრუქტურისა, კეთილმოწყობა საბავშვო ბაღის ეზო.

აღნიშნული პროექტი, საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფონდის მიერ ფინანსდება.

იმავე დღესვე, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა სოფელ ჩხარში „სოფლის მხარდაჭერის" პროგრამის ფარგლებში მიმდინარე პროექტი დაათვალიერეს.

აქ, მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, აქტიურ ფაზაშია საბავშვო ბაღის გარე ფასადის რეაბილიტაცია.

სამშენებლო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია „გოლდ ფაუერი" ახორციელებს, რომელიც საბავშვო ბაღში სასწავლო პროცესის დაწყებამდე დასრულდება.

სამუშაო შეხვედრას, ძევრის, ჩხარისა და გოგნის მაჟორიტარი დეპუტატი, მანუჩარ ფანჩულიძე და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები დაესწრნენ.



„სოფლის მხარდაჭერის" პროგრამის ფარგლებში...

მუნიციპალიტეტის მერია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისთვის აქტიურად აგრძელებს სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოებს.

ამ პროგრამის ფარგლებში, სოფელ ახალთერჯოლაში მინი სტადიონის მშენებლობა დასრულდა, სადაც სიმბოლურად, სოფლის პირველობისთვის ფინალური მატჩი გაიმართა. ახალი სპორტული მოედანი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, ლაშა გოგიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარესთან, გიორგი ბარათაშვილთან, სიქთარვა-ახალთერჯოლის მაჟორიტარ დეპუტატთან, ჯემალ ისაკაძესთან და საკრებულოს წევრ, ბიძინა ბუცხრიკიძესთან ერთად დაათვალიერა, ასევე ფინალურ შეხვედრას დაესწრო და მონაწილე გუნდებს წარმატებები უსურვა.თერჯოლის მერის, ლაშა გოგიაშვილის ინიციატივით, სოფელ ახალთერჯოლაში ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობის მიზნით, ასევე მოეწყო სპორტული ტრენაჟორებიც. ასეთი სავარჯიშო მოედნების მოწყობა, მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში მომავალ წელსაც გაგრძელდება.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

მემორანდუმი იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებისა და ჟვანიას სახელობის ადმინისტრირების სკოლის თანამშრომლობას, გამოცდილების გაზიარებას, საჯარო მოხელეებისთვის ახალი შესაძლებლობების შეთავაზებას და მათ გადამზადებას ითვალისწინებს.

ამ დღეებში, მემორანდუმის ფარგლებში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, ლაშა გოგიაშვილი, მოადგილესთან, მირზა ქოჩიაშვილთან და თანამშრომლებთან ერთად, ნინოწმინდისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტებიდან ეთნიკური უმცირესობის ორ წარმომადგენელს შეხვდა, რომლებიც შვიდი სამუშაო დღის განმავლობაში პროგრამის პრაქტიკის ტრენერებთან ერთად სპეციალურ კურსს გაივლიან. ამ პროგრამის მიზანია: ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელი საჯარო მოხელეებისთვის პროფესიული და ზოგადი უნარების, სამუშაო სივრცეში მათ მიერ სახელმწიფო ენის წარმატებით გამოყენების ხელშეწყობა, ქართულენოვან კოლეგებთან თანამშრომლობის გაძლიერება, რაც უზრუნველყოფს მათ ინტეგრაციას საზოგადოებრივ სივრცეში.

ინდივიდუალური შეხვედრები მოქალაქეთა თანადგომისათვის...

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, ლაშა—გოგიაშვილი ინტენსიურ რეჟიმში აგრძელებს ინდივიდუალურ შეხვედრებს მოქალაქეებთან. ასეთ შეხვედრებზე მიღებული ინფორმაციების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის მერი შესაძლებლობის ფარგლებში, არსებული საკითხების გადაჭრაში დახმარებას უწევს მათ. მოქალაქეთა პრობლემები ძირითადად დასაქმებას, ჯანდაცვასა და სოციალურ საკითხებს ეხება. ამასთან, შეხვედრები მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლას და პრობლემების ეტაპობრივად მოგვარებას უზრუნველყოფს.

შეგახსენებთ, რომ მოქალაქეთა მიღება, ყოველ სამშაბათსა და ხუთშაბათს დილის 11:00 საათიდან 16:00 საათამდე ტარდება. მისამართი: ქალაქი თერჯოლა, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია, რუსთაველის №109

ვანო ხუხუნაიშვილი 59

5 სექტემბერს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, ლაშა გოგიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარესთან, გიორგი ბარათაშვილთან და ქალაქ თერჯოლის მაჟორიტარ დეპუტატთან, ელისო მურადაშვილთან ერთად, ეროვნული მოძრაობის ლიდერისა და სახელმწიფო მოღვაწის, ვანო ხუხუნაიშვილის ხსოვნას პატივი მიაგო.

ეროვნული მოძრაობის ლიდერს, ვანო ხუხუნაიშვილს ამ დღეს 59 წელი შეუსრულდებოდა.

სულის მოსახსენებელი პარაკლისი გადაიხადა ღვთისმშობლის ხარების ეკლესიის წინამძღვარმა, მამა ქრისტეფორე ცერცვაძემ. პარაკლისს ეროვნული მოძრაობის გმირის ოჯახის წევრები და მეგობრები ესწრებოდნენ.

ვანო ხუხუნაიშვილი 1963 წლის 5 სექტემბერს დაიბადა ქალაქ თერჯოლაში. 1986 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი. იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი და 1981 წლიდან მისი მთავარი კომიტეტის წევრი. 1989 წელს საბჭოთა რეჟიმის მიერ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის სხვა ლიდერებთან ერთად დაპატიმრებული იყო, როგორც 9 აპრილის აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი.

ვანო ხუხუნაიშვილი 2010 წლის 26 იანვარს, 46 წლის ასაკში გარდაიცვალა. დაკრძალულია ქალაქ თერჯოლაში, ღვთისმშობლის ხარების საკათედრო ტაძრის ეზოში.

„რა პატარა ხარ, ალბათ ცრემლს თუ აღემატები“

(სოხუმის დაცემიდან ოცდაცხრა, დევნილობიდან ოცდაათი წელი)

30 წელი ისტორიისთვის არაფერია, მაგრამ, როცა მოვლენები შენს თვალწინ ვითარდება, ყოველი ფაქტის მონაწილე ხარ, როცა შენს გვერდით ცხოვრობენ ადამიანები, რომლებიც საკუთარ სამშობლოში დევნილებად იქცნენ, იცი მათი გაჭირვება, დახმარებიხარ, ან იქნებ ვერც დახმარებიხარ, დაბადებულან, დაქორწინებულან და გაგხარებია, გარდაცვლილან და განგიცდია—ეს ისტორიაა და ტკივილი, იმავდროულად იმედი, დევნილთა საკუთარ სახლებში დაბრუნების და კვლავ ხილვა „ზღვის კალთებზე მოფარფატე თოლიის“.

თერჯოლას კარგად ახსოვს აფხაზეთის სხვადასხვა კუთხიდან დევნილნი, მათმა უმრავლესობამ კურორტ „საპოვნელას“ რომ შეაფარა თავი. კეთილმოწყობილი და მრავალი სტუმრის მასპინძელი, მრავალი საინტერესო ფიზკულტურულ-სპორტული, კულტურული ღონისძიებების მომწყობი „საპოვნელა“—დევნილების ნავთსაყუდრად იქცა. დიდხანს ცხოვრობდნენ აქ დევნილები, აქ ნახეს მათ სტუმარ-მასპინძლობის საუკეთესო მაგალითები, აქ იბადებოდნენ, ქორწინდებოდნენ, სამუდამო სასუფეველსაც აქ იმკვიდრებდნენ... რამდენიმე წელია „საპოვნელას“ ბინადარნი ყოფილი საავადმყოფოს რეაბილიტირებულ კორპუსში ცხოვრობენ. კორპუსს „საპოვნელა“დაარქვეს იმის არდასავიწყებლად, რომ ახსოვთ აქ გატარებული დევნილობის წლები.

მძიმე, მაგრამ უსაფრთხო და მშვიდობიანი წლები

ასე უწოდებენ განვლილ ოცდაათ წელს ის დევნილები, რომელთაც ახსოვთ თოვლიან-ყინულიანი გზა ჭუბერზე, ახსოვთ და კმაყოფილნი არიან თერჯოლელთა მასპინძლობით, იხსენებენ აფხაზეთში ცხოვრების ბედნიერ წლებს და სევდა უდგებათ თვალებში, წარსულის მძიმე მოგონებას უმსუბუქებთ უკვე დაზრდილ დავაჟკაცებულ-დაქალებული და ოჯახებს მოკიდებული შვილები, აქ დაბადებული შვილები, შვილიშვილები... დიახ, გამრავლდნენ თერჯოლაში მცხოვრები დევნილები, ოცდაათი წლის წინ ექვსასი იყვნენ, მერე წავიდ-წამოვიდნენ, სხვაგან დაიდვეს ბინა, ახლა თერჯოლაში მხოლოდ სამასორმოცდაათი დევნილია, კორპუს „საპოვნელაში“ 42 ოჯახია, 200-ზე მეტი ადამიანი ცხოვრობს... „ჩამოსულები“ და აქ დაბადებულები, შემომატებული რძლებით და სიძეებით. ბევრმა გადმოცემით იცის აფხაზეთის და იმის შესახებ, რა გადაიტანეს მათმა უახლოესმა წინაპრებმა.

კვლავ ერთად არიან, ისე, როგორც ოცდაათი წლის წინ, ჭირიც ერთი აქვთ და ლხინიც, გვერდში უდგანან ერთმანეთს და არ ივიწყებენ წარსულს, მზერა მომავლისკენ აქვთ, დიდი იმედი, რომ დაბრუნდებიან, კვლავ იხილავენ „ხელის გულზე დასატევ“, „ცრემლს რომ ოდნავ აღემატება“ იმ აფხაზეთს და ზღვის კალთებზე მოფარფატე თოლიას“, იმედი აქვთ, რომ დადგება დრო სტუმრად მიიღებენ თერჯოლელებს, იმ ადამიანებს, რომლებმაც თავის დროზე, უმასპინძლეს ისე, როგორც შეეძლოთ.

კორპუსის ყველაზე პატარა...

ოცი წლის იყო იულია ქარდავა მეუღლესთან, ბეჟან ბობოხიასთან ერთად ჭუბერზე, თოვლიან-ყინულიან გზაზე დიდი გაჭირვებით რომ გადმოვიდა, გადმოიყვანეს შვილები წლინახევრის ნიკა და რვა თვის ნათია. კურორტ „საპოვნელაზე“ დაბინავდნენ, ახლა კორპუსში ცხოვრობენ, ნიკა აქ დაქორწინდა, ჰყავს მეუღლე და 7 თვის ნუცა, მალე კიდევ შეემატათ და კვლავაც გამრავლდებიან...

***

ავთანდილ სახელაშვილი და ნაზი ჩაკვეტაძე სოხუმლები არიან, მამუკა, მანუჩარი, მარინა პატარები ჩამოიყვანეს, ახლა სამივე შვილს თავისი გზა აქვს მოძებნილი.

***

ტრაგიკულია, მაგრამ სიამაყის მატარებელი ვერა თვალავაძის ცხოვრება, მეუღლე ვლადიმერ თვალავაძე აქ გარდაიცვალა, ღირსეული პატივი მიაგეს როგორც დევნილებმა, ისე თერჯოლელებმა, ოჩამჩირეში ცხოვრობდნენ, შვილები: ედემი, თემური, ნატა, სერგო, მისი სიამაყეა, ედემი და თემური აფხაზეთის ომის ვეტერანები არიან, სერგო აგვისტოს ომის მონაწილე, ერთი შვილის—გენადის გარდაცვალებამ დაღი დაასვა მის ცხოვრებას, მაგრამ იმედიანად არის, მას ხომ სხვებიც ჰყავს...

დევნილთა საცხოვრებელი ქალაქ თერჯოლაში

***

სოხუმელ მარინა მალანიას ბევრი აქვს მოსაგონარი. გურამ ბერულავას აქტიურს, ყველას მომხმარეს და პატივისმცემელ, თვითონაც პატივისაცემ კაცს, ძველებური შემართება აღარ აქვს, ერთიან, ძლიერ, განუყოფელ საქართველოზე, შერიგებაზე ოცნებობს, იმაზე თუ როგორ გააღვიძებს „ერთი მამალი—ოდიშ აფხაზეთს“.

პატარა მაგრამ დიდი ამბავი

სიქთარვაში მცხოვრები ერთი დევნილი, რომელიც დევნილობის პირველ წლებში ზესტაფონში ცხოვრობდა, იგონებს: სტუმრების მოსვლას და იმას, რომ სახლში ერთი პურიც არ ჰქონდა, წასულა ნაცნობთან მაღაზიაში, რომლის მეპატრონე პროდუქტებს ნისიად აძლევდა. ესეც პატიოსნად უხდიდა, მაგრამ ვალი მაინც დაგროვებია და რცხვენოდა. წამოუღია ამ მაღაზიიდან რაღაც პროდუქტები და სახლში რომ მოსულა სუფრა გაწყობილი დახვედრია—ვისაც რა ჰქონია ის მოუტანია, მაშინ მეგონა ჩიტის რძეც კი არ აკლდა სუფრასო. დიახ, დევნილებს ახსოვთ წარსული, გადატანილი სირთულეები და თანადგომა ნაცნობ-უცნობების. ამ ოჯახს და არც სხვებს ახლა აღარ უჭირთ, მაგრამ კვლავ ყოფენ ლუკმას, ხელისგაწვდომის ის სულისკვეთება შემორჩათ.

ახლა აქ სტუმარსაც იღებენ

კორპუსში მისული პირველად 12 წლის ირაკლი სულაძეს შევხვდი, სტუმრად ვარო, მითხრა. ირაკლი თბილისში ცხოვრობს, დალი სულაძეს სტუმრობს, დალი ოცდაერთი წლის იყო გულრიფშიდან რომ წამოვიდა, მეუღლესთან—ვალერი სახელაშვილთან ერთად. ერთი წლის ელგუჯა დიდი წვალებით გადმოიყვანეს, თემური აქ დაიბადა.

***

ნანა გელაშვილი არ არის მარტო საბინაო ამხანაგობის თავმჯდომარე. იგი ნამდვილი მეგობარია, თითოეული დევნილის ცხოვრებას იცნობს, ცდილობს მათი პრობლემების მოგვარებას, ხშირად აყენებს საკითხს აფხაზეთის მთავრობის ხემძღვანელობასთან, იმ ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისათვის, რომლებთაც ჯერ კიდევ სჭირდებათ დახმარება, კმაყოფილია ადგილობრივი ხელისუფლების „კმაყოფილები რომ არ ვიყოთ, სხვა გზის პოვნაც შეიძლებოდა-ო“—ეს აზრი გამოხატა.

***

თერჯოლაში აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა 1992 წელს მოვიდა—სოხუმი 1993 წლის 27 სექტემბერს დაეცა...

ბევრი თერჯოლელი იბრძოდა აფხაზეთში—საზანოელი მალხაზ ჯანგიანი, ალისუბნელი გოდერძი ბუცხრიკიძე, თუზელი დავით მაჩიტიძე, საბედნიეროდ ნაომარი ბიჭები, რომლებმაც აფხაზეთის ომში ჭრილობები მიიღეს, დღესაც მზად არიან—თუ სამშობლო მოითხოვს, სამშობლოსაც აქვს გარკვეული ვალდებულება მათ წინაშე.

მათი სახელობის მემორიალი

ბევრი დაბრუნდა, ბევრიც დაიღუპა—დევიძე ვალერი, ბოგვერაძე კახაბერი, ბუცხრიკიძე მალხაზი, სახელაშვილი ელგუჯა, თავბერიძე რამინი, კაპანაძე გიორგი, ჭანტურიძე ანდრია, სოფრომაძე ტრისტანი, სულამანიძე ალექსანდრე, ობოლაძე გოჩა, მორჩაძე დავითი, გიორგაძე გოჩა, ლელაძე ბესარიონი, გაბრიჭიძე ფრიდონი, ლაბაძე ჯაბა. არის ახლა თერჯოლაში საქართველოს დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და ერთიანობისათვის დაღუპულთა მემორიალი, სადაც ხშირად მიდიან ადამიანები და პატივს მიაგებენ დაღუპულთა ნათელ ხსოვნას. დადიან დევნილები, რომლებთაც ისევე ახსოვთ დაღუპულები, როგორც ჩვენ.

***

სოხუმის დაცემა ცრემლიან-ტკივილიანი დღეა თითოეული ქართველისათვის, მაგრამ დიდია იმედი იმისა, რომ სამშვიდობო პოლიტიკა შედეგიანი იქნება, ჩვენ დავიბრუნებთ აფხაზეთს, გამართლდება პოეტის სიტყვა—კვლავ ერთი მამალი გააღვიძებს ოდიშ-აფაზეთს და დავაფასებთ ერთ ცას, ერთ ჰაერს ისე, როგორც უნდა.

ჟუჟუნა ცხადაძე

27 სექტემბერი სოხუმის დაცემის დღეა!

გვახსოვდეს აფხაზეთი— ჩვენი მოუშუშებელი იარა!



გვახსოვდეს აფხაზეთი...
გვახსოვდეს სოხუმი...
გვახსოვდეს სამშობლოსათვის
დაღუპული გმირები...

გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

სასექტემბრო ზარები...

ოთხასოცდათხუთმეტი მოსწავლით, მათ შორის ორმოცდათხუტმეტი პირველკლასელით განახლდა 2022-2023 სასწავლო წელი თერჯოლის №2 საჯარო სკოლაში, სასექტემბრო საზეიმო განწყობას ხელს უწყობდა ახლად რეაბილიტირებული სკოლა და თითქმის დამარცხებული პანდემია, შესაძლებლობა საკლასო ოთახებში სწავლის დაწყების...

სკოლის ეზოში შეკრებილ მოსწავლეებს, მშობლებს, პედაგოგებს სიტყვით მიმართა სკოლის დირექტორმა რუსუდან უსუფაშვილმა, მან მოკლედ მიმოიხილა გასული წლის შედეგები, გამოთქვა კმაყოფილება, რომ წლევანდელმა კურსდამთავრებულებმა ეროვნულ გამოცდებზე მაღალი შედეგები აჩვენეს, ჰყავდათ წარმატებული მოსწავლეები, ბევრმა მათგანმა გრანტი მოიპოვა, ქალბატონმა რუსუდანმა შეკრებილთ მიულოცა ახალი სასწავლო წელი, ყველას წარმატებები უსურვა.

საზეიმო ღონისძიებას ესწრებოდა და სიტყვა წარმოთქვა მუნიციპალიტეტის მერმა ბატონმა ლაშა გოგიაშვილმა, მოსწავლეებთან ერთად სამახსოვრო სურათებიც გადაიღო.

ღონისძიება საქართველოს ჰიმნით გაიხსნა, ჰიმნით დასრულდა და სწავლის დაწყების ზარიც დაირეკა, რასაც მხიარული შეძახილები მოჰყვა, პირველკლასელებმა ლექსები წაიკითხეს, იყო უამრავი ყვავილი.

სასწავლო წელი დაიწყო!

გილოცავთ!

მადლობა—და გილოცავთ

ახალი სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავ თერჯოლის №1 საჯარო სკოლის პედაგოგებს და მის სულისჩამდგმელს, დირექტორს ელისო მურადაშვილს, რომ არა ქალბატონი ელისო მასწავლებელი ჩემი შვილიშვილი ნინო ნიშნიანიძე დღეს სტუდენტი არ იქნებოდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბავშვი რომელიც საქართველოში ჩამოვიდა 11 წლის და არ იცოდა არცერთი ქართული სიტყვა „დედა“-ს გარდა (სწავლობდა უკრაინაში უკრაინულ-რუსულ სკოლაში). ყველა მასწავლებელი იმედს აძლევდა ნინოს, რომ ის აუცილებლად შეძლებდა და დაძლევდა. „იკითხე... იკითხე... ნინიკო და ყველაფერს გადალახავ... გაკვეთილი მოყევი როგორც შეძლებ, თუნდაც ის ენა ჩართე რომელიც იცი“... ეს დირექტორის სიტყვებია და აი დღეს, ნინიკო სტუდენტია.

მადლობა მინდა გადავუხადო მის პირველ დამრიგებელს ქალბატონ დალი სარალიძეს, შემდგომში ქალბატონ ხათუნა გურულს და ბოლო წლებში დამრიგებელს დავით ჩუბინიძეს. მათ ყველაფერი გააკეთეს სხვა პედაგოგებთან ერთად ნინოსათვის. მადლობა ყველა პედაგოგს, ვინც ერთი გაკვეთილიც კი ჩაუტარა, მადლობა ნინოს კლასელებს ნინოს გვერდით დგომისთვის იმ მძიმე დღეებში (დაღუპული ყავს დედა და ძმა).

მადლობა განსაკუთრებულად კერძო სკოლის პედაგოგს ქალბატონ ხათუნა დიდიძეს, ამ დიდი სულის ადამიანს, რომ მან მაქსიმალური გააკეთა ნინოსათვის, სრულიად უანგაროდ მოამზადა ისტორიაში.

მადლობა!

გილოცავთ ახალ სასწავლო წელს, კვლავ წარმატებები თქვენს მოსწავლეებს.

რუსუდან ნიშნიანიძე,
ნინო ნიშნიანიძის ბებია

სამი დღე, რომელიც წლებს ჩაიტევს...

...მთელი ზაფხული სტუმრობდნენ სიქთარვას სოფლიდან საცხოვრებლად დროებით წასული ოჯახების შვილები, შვილიშვილები, ნათესავები თბილისიდან, ქუთაისიდან, ზესტაფონიდან, ხარაგაულიდან, ხაშურიდან და იყო სავსე სიქთარვის საჯარო სკოლის ეზო, სტადიონი, ახალგაზრდებმა გაიცვნეს ერთმანეთი, დამეგობრდნენ... სიქთარვის საჯარო სკოლის დირექტორმა ია კვატაიამ ორგანიზებული ხასიათი მისცა სოფლის ახალგაზრდების სკოლის ეზოში „სტუმრობას“ და მათ სამდღიან საზაფხულო ბანაკში ჩარიცხვას. თავისთავად ჩაერთვნენ საბანაკო ცხოვრებაში მკვიდრი სიქთარველები და შეიკრიბა 120-130 ახალგაზრდა, რომლებსაც, როგორც თვითონ თქვეს, დიდხანს ემახსოვრებათ სიქთარვაში გატარებული დღეები და განსაკუთრებით სამდღიანი საბანაკო ცხოვრება.

ქუთაისის №41 საჯარო სკოლის მოსწავლემ ანანო თორთლაძემ, თბილისის 47-ე საჯარო სკოლის მოსწავლემ ანამარია ჭიჭაძემ, ასე ჩამოაყალიბეს სათქმელი—სხვა დროსაც ვყოფილვართ სიქთარვაში, გამიცვნია, დამიმეგობრებია თანატოლები, მაგრამ ბანაკში პირველად ვართ, მადლობლები ვართ სკოლის დირექტორის ქალბატონ ია კვატაიასი და პედაგოგების, რომლებიც ჩვენს გვერდით არიან, მადლობა თანატოლ სიქთარველებს, რომლებიც გვმასპინძლობდნენ, რომელთა მეშვეობით მთელი სკოლა გავიცანით და სოფლის მრავალი სტუმარი სხვადასხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან... ბანაკში გატარებული სამი დღე, ერთ-ერთი დასამახსოვრებელი იქნება, შესაძლოა მთელ ცხოვრების მანძილზედაც... სიქთარვის საჯარო სკოლის მოსწავლე ანიტა აბუთიძე კი უფრო მასპინძლობდა, ახალგაზრდების ერთმანეთის გაცნობით იყო „დაკავებული“...

***

ბანაკი ექვს ჯგუფად გაიყო. ბანაკს ჰყავდა ლიდერები: თეკლა მუმლაძე, ანა კვატაია, მარი რობაქიძე, გაგა აბულაძე, მარიამ ჩიხლაძე, ბაჩო რობაქიძე (სტუდენტები), ბაქარ კვატაია, ზურა ბასილაია, ანუკა აბჟანდაძე, ლუკა აბჟანდაძე, ენდი კვატაია, ბექა რობაქიძე, გენკა ტოფაძე, ქრისტინე გიორგაძე (მოსწავლეები). ჰყავდათ ლიდერთა ლიდერი—ბაია მაკარიძე.

მიზანი მიღწეულია...

სამდღიანი ბანაკის შექმნის და მუშაობის მიზანი თავიდანვე განისაზღვრა. საამისო გამოცდილება ამ სკოლას აქვს, მაგრამ წლევანდელი ბანაკის მუშაობას სულ სხვა დატვირთვა ჰქონდა, სხვა ხიბლი და მნიშვნელობაც...

ბანაკის საერთო შემადგენლობის 120 მოსწავლიდან, თითქმის ნახევარი სოფელში ჩამოსულთაგან შედგებოდა. სამი დღე საკმარისი აღმოჩნდა მოზარდებს გაეცნოთ ერთმანეთი, ეამბნათ იმ სკოლების შესახებ, რომლებშიც სწავლობენ, იმ გარემოზე, სადაც ცხოვრება უხდებათ. ახალგაზრდები დაუახლოვდნენ

ერთმანეთს, გააღრმავეს ურთიერთობები, დამეგობრდნენ, ჩატარებულმა მრავალმა შემეცნებითი ხასიათის ღონისძიება მათი ცოდნა გააფართოვა, უპასუხეს ერთმანეთისადმი დასმულ შეკითხვებს, სკოლის დირექტორის ათი კითხვიდან უპასუხო არც ერთი არ დარჩენილა, გამარჯვებული მაინც გამოვლინდა, იყო თასი, სიგელები, დიპლომები...

ფიქრები სამდღიანი საბანაკო ცხოვრების მერე

სტუმრებმა და ბანაკის მონაწილეებმა ენდი კვატაიამ, ანანო თორთლაძემ, ანა-მარია ჭიჭაძემ ბანაკის შთაბეჭდილებებზე მოკლედ ისაუბრეს, რამდენიმე სიტყვით გამოხატეს სათქმელი. ბანაკის ბოლო დღე დატვირთული იყო და არც იყო მეტის შესაძლებლობა. სახლებში დაბრუნებულებს დაგროვებიათ სათქმელი და იგი რამდენიმე დღის შემდეგ გადმოგვიგზავნეს.

***

ენდი კვატაია—თბილისის მე-10 საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე—სიქთარვის სკოლის ბანაკის დღეებმა ეს ზაფხული გამიფერადა. უამრავი მეგობარი შევიძინე. ურთიერთობები ახალგაზრდებთან ძალიან მნიშვნელოვანია. მათთვის სწორი გზის მიცემას განაპირობებს, ბანაკი კარგად იყო ორგანიზებული, მაგრამ ერთ საკითხში ცოტა ტენდენციურიც ვიქნები. მიხარია, რომ ამ ყველაფერს ორგანიზებას ჩემი მამიდა—სკოლის დირექტორი ია კვატაია უკეთებდა. ზუსტად ვიცი, რომ ჩემს სიქთარვაში ყოველი ზაფხული ახალგაზრდებისთვის კიდევ უფრო გალამაზდება მომავალ წლებში.

ანანო თორთლაძე

მე მინდა რამდენიმე სიტყვით გითხრათ ჩემი შთაბეჭდილება ამ არაჩვეულებრივ ბანაკზე, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავიცნოთ ახალი მეგობრები და შევიდეთ ადამიანებთან ახლო კომუნიკაციაში. მინდა ვთქვა, რომ ამ სამი დღის განმავლობაში ძალიან კარგი აქტივობები იყო. თუმცა ყველაზე მეტად მე მაინც ბოლო დღეს გამოვარჩევ. ყველაზე კარგად რატომღაც ბოლო დღეს გავერთე. ჩემი ლიდერობითაც ძალიან კმაყოფილი ვარ და ასევე სხვა ლიდერებითაც. ძალიან ვისიამოვნე ამ სამი დღით და იმედი მაქვს მომდევნო ზაფხულსაც ასე იქნება. ძალიან დიდი მადლობა სიქთარვის სკოლის დირექტორს, რომ ამ კარგ საქმეს აკეთებს და მადლობა ამერიკელ მოხალისე მასწავლებელს კალისიას, რომლის იდეა—ზაფხულის ბანაკის შესახებ, დღესაც გრძელდება. კალისიაც წელს ჩვენთან ერთად არ იყო, ნამდვილად დასაფასებელია ეს ყველაფერი.

ანა-მარია ჭიჭაძე—სიქთარვა ჩემი დედულეთია და აქ ჩამოსვლა ყოველთვის ძალიან მიხარია. მაგრამ ცოტას ვიწყენ ზაფხულის არდადეგებზე, დრო უსაშველოდ ნელა გადიოდა. წელს რომ ჩამოვედი მეგობრებმა შემომთავაზეს ბანაკში წამოსვლა და ვთხოვეთ სკოლის დირექტორსაც, ქალბატონი ია დიდი სიხარულით დათანხმდა.

დაიწყო ჩემთვის ყველაზე მხიარული დღეები. გავიცანი უამრავი ბავშვი და დავმეგობრდით. ინტელექტუალური თამაშებით შევიძინე დიდი გამოცდილება. სიქთარვის საჯარო სკოლის ბანაკმა ორჯერ მეტად შემაყვარა ჩემი სოფელი. უღრმესი მადლობა ყველას ამ დაუვიწყარი დღეებისთვის.

დიდი იმედი მაქვს მომავალ ზაფხულსაც ვიქნები თქვენთან ერთად.

ჟუჟუნა ცხადაძე

გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

ახალი სასწავლო-სააღმზრდელო წელი ახალი ბაღით

საბავშვო ბაგა-ბაღებში ბავშვების საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინება, ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა, დაცულობისა და უსაფრთხოების განცდა, არაძალადობრივი გარემო, ხელს უწყობს თითოეული ბავშვის მრავალმხრივ ჰარმონიულ განვითარებას; მეორეს მხრივ სისტემაში დასაქმებულ თანამშრომლებს უჩნდებათ მოტივაცია უკეთ იზრუნონ ბავშვსა და საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე.

ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის დაქვემდებარებაში მყოფ 26 საბავშვო ბაგა-ბაღში. ახალ 2022-2023 სასწავლო წელს 54 სააღმზრდელო ჯგუფში ჩაირიცხა 1080 აღსაზრდელი. თითოეული ბავშვის ჰოლისტურ განვითარებაზე იზრუნებენ აღმზრდელ-პედაგოგები, დირექცია, დამხმარე პერსონალი ბავშვის მშობლების აქტიური მონაწილეობით და ოჯახების ჩართულობით.

„ადრეული და სკოლამდელი განვითარების სახელმწიფო სტანდარტი“—დოკუმენტი, რომელიც აერთიანებს ორი ტიპის სტანდარტს —ბავშვის განვითარების სტანდარტები და ხარისხის სტანდარტი (პროცესი, გარემო, დამოკიდებულება, საგანმანათლებლო პერსონალი, ოჯახი, მართვა), რომელიც დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის მიერ. გამოწვევის წინაშე აყენებს ჩვენ სისტემას. ამ მიმართულებით „მუნიციპალური ცენტრი“ აქტიურად მუშაობს და რიგ აქტივობებს ახორციელებს. კერძოდ, „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განვითარების შესახებ“ კანონში ცვლილებების თანახმად სტანდარტების დასანერგად, პროგრამის ხარისხის უზრუნველსაყოფად, დასახელდა გარდამავალი პერიოდი 2030 წელს 1 იანვრამდე. წლების მიხედვით გაიწერება შესასრულებელი აქტივობები. ამჟამად, პირველ ეტაპზე მიმდინარეობს საბავშვო ბაგა-ბაღების ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაცია.

საბავშვო ბაგა-ბაღში პედაგოგებს აღნიშნულ პოზიციაზე მუშაობის გასაგრძელებლად და დასაწყებად საქართველოს განვითარებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული ტრენინგ-მოდელის“ ჩატარება ევალებათ. ამ მიმართულებით მიმდინარე წლის ზაფხულის პერიოდში 26 პედაგოგმა წარმატებით გაიარა და გადალახა ბარიერი მაღალი აკადემიური მოსწრებით და დაიმსახურა შესაბამისი სერთიფიკატი. აღნიშნული პროცესი გაგრძელდება 2024 წლის 1 სექტემბრამდე ყველა პედაგოგისათვის.

პოლონეთის საგარეო სამინისტროს დაფინანსებით, საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაცია „კივიტას გეორგიკა“ თერჯოლის №1 და №2 საბავშვო ბაგა-ბაღებში უკვე მე-3 წელია ახორციელებს პროექტს სახელწოდებით „თითოეული ბავშვისათვის—სკოლამდელი განათლების ადგილობრივი პოლიტიკის სისტემის მხარდაჭერა“. პროექტი ამჟამად გრძელდება. ზემოთაღნიშნულ ბაღებში მოეწყო რესურს ოთახები მრავალფეროვანი, ეკოლოგიურად ხარისხიანი სასწავლო რესურსით, საბავშვო ინვენტარით (მაგიდები, სკამები და სხვადასხვა ავეჯით), გადამზადდნენ პედაგოგები და მიწვეული იყვნენ პატარძეულში „კივიტიას გეორგიკას“ ცენტრში. მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში დადგენილია სასწავლო ვიზიტი პოლონეთში, სადაც სკოლამდელი განვითარების არსებულ მოდელს, საბავშვო ბაღების გარემოს, ეზოს, რომელსაც გავითვალისწინებთ სიახლეების კუთხით საქმიანობაში.

ქ. ბათუმში გამართულ საერთაშორისო კონფერენციის „ადრეული განათლება და ზრუნვა“ გამარჯვებულები გახდნენ თერჯოლის №1 საბავშვო ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგი თამარ ჭანტურიძე და ღვანკითის საბავშვო ბაგა-ბაღის მეთოდისტი თეა ქემოკლიძე. თეა ქემოკილიძე ასევე გახდა კონკურსის „მწვანე ჯილდოს“ ფინალისტი, რომელიც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ იყო ორგანიზებული, რაც მათ მოტივაციას კიდევ უფრო გაზრდის ახალ სასწავლო-სააღმზრდელო წელს.

საბავშვო ბაგა-ბაღებში დაინერგა HACCP სისტემა—საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემა, რომლის მთავარი მიზანი არის უვნებელი სურსათის დამზადებისათვის რიგი აქტივობების განხორციელება. გადამზადება გაიარა ამ მიმართულებით 104 თანამშრომელმა (დირექტორმა, მნემ, ექთანმა, მზარეულმა).

საბავშვო ბაგა-ბაღების 2022 წელს დაფინანსების პროგრამა ამჟამად შეადგენს 3 300 ლარს.

უახლოეს პერიოდში ჩვენს მუნიციპალიტეტს შეემატება უკვე მე-7 თანამედროვე, უნივერსალური დიზაინით, თანამედროვე საბავშვო ინვენტარით და ეზოთი კეთილმოწყობილი საზანოს საბავშვო ბაგა-ბაღი, რომელშიც ჩაირიცხებიან 2-6 წლამდე ასაკის ყველა ბავშვი, რომელთა სურვილია გახდნენ ბაღის აღსაზრდელები. აქტიურად მიმდინარეობს თერჯოლის №3 საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა. 65 000 ლარი იხარჯება თერჯოლის №1, თერჯოლის №2 საბავშვო ბაგა-ბაღებში სააღზრდელო ჯგუფების სარეაბილიტაციოდ, ჭოგნარის და ეწრის ბაღების სახურავის კეთილმოსაწყობად.

ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით და უშუალო ხელმძღვანელობით გეგმაზომიერად მუშაობს პრიორიტეტებზე, რათა დაცული იქნას თითოეული ბავშვის უფლებები და რომ ჩვენი მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გარემო იყოს უსაფრთხო, კომფორტული, ხელმისაწვდომი და ადვილად გამოსაყენებლი ყველასათვის.

მაია თორთლაძე,
ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის დირექტორი

ბავშვების საყვარელი ადგილი...

წიგნზე იმდენი რამ უთქვამთ ყველა დროის კორიფეებს მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. მხოლოდ რამდენიმეს მოვიყვანთ: „წიგნი შრომის დროს აგურია და ბრძოლის დროს ტყვიით სავსე ყუმბარა“, „წიგნები განსაკუთრებული სამყაროა, წმიდა, კეთილი, რომელთა შორის, ჩვენ შეგვიძლია ვიცხოვროთ და ვიყოთ ბედნიერები“, „სახლი, რომელშიც წიგნი არ არის, ჰგავს სხეულს, რომელშიც სული არ არის“—ეს სიტყვები ისტორიის დიდ კორიფეებს ეკუთვნით. ასე, რომ წიგნი ბევრს ნიშნავს. ბევრს ნიშნავს, როცა გაქვს მდიდარი ბიბლიოთეკა. საბედნიეროდ, ჩვენ გვაქვს ამის ფუფუნება ქ. თერჯოლაში, სადაც რუსთაველის ქუჩაზე ფუნქციონირებს დიდი ტრადიციების მქონე საჯარო ბიბლიოთეკა, ხოლო სოფრომაძის ქუჩაზე, პირველი საჯარო სკოლის მიმდებარედ, მისი განყოფილება საბავშვო ბიბლიოთეკის სახით, ამჯერად, სწორედ ამ განყოფილებასა და მის მუშაკებზე გვინდა ვთქვათ ორიოდ კეთილი სიტყვა. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვების ასაკს დიდი ხანია გადავაბიჯე ამ ბიბლიოთეკის ხშირი სტუმარი ვარ. ვეცნობი პერიოდულ პრესას და წიგნადი ფონდის სიუხვის გამო ვსარგებლობ სასურველი ლეტერატურითაც. აქ არაჩვეულებრივი გარემოა შექმნილი. ბიბლიოთეკის წიგნზე და რა თქმა უნდა, ბავშვებზე უზომოდ შეყვარებული პერსონალი ქმნიან გულისხმიერ ატმოსფეროს მკითხველთა მომსახურებისათვის. მიუხედავად ინტერნეტის შემოტევისა, რომელმაც მოიცვა ყველა და ყველაფერი, აქ ნორჩი მკითხველების სიმცირეს არ უჩივიან და ენერგიულად იღვწიან მათი რიცხვის გამრავლებისათვის. გვქონდა საშუალება გავსაუბრებოდით საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორს **ლალი ცქიფურიშვილს,** რომელმაც დაწვრილებით მოგვითხრო საბავშვო ბიბლიოთეკის საქმიანობის შესახებ:

„მიუხედავად იმისა, გვითხრა მან, რომ ინტერნეტის საუკუნეში ვცხოვრობთ, წიგნი შეუცვლელია. არ შეიძლება ისეთი სიამოვნება ინტერნეტმა მოგვანიჭოს, როგორსაც წიგნის კითხვა ანიჭებს ადამიანს. მთავარია ბავშვობიდანვე შევაყვაროთ მათ წიგნი. საამისოდ ბიბლიოთეკაში ვგეგმავთ და ვატარებთ ღონისძიებებს ბავშვებში წიგნის პროპაგანდისათვის. ბიბლიოთეკის მუშაკები კარგად ითვალისწინებენ, რომ დღევანდელ ბავშვს მეტი ინფორმაცია სჭირდება, იზრდება მისი ცოდნის ჰორიზონტი, გემოვნება. ვცდილობთ ახალგაზრდა მკითხველები სრულად გაეცნონ სხვადასხვა ჟანრის იმ ნაწარმოებებს, რომლებშიც სრულადაა გამოვლენილი ქართული სიტყვის მშვენიერება და ძალა, ის სულიერი სიმდიდრე, რაც იქმნებოდა საუკუნეების მანძილზე. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი (ძირითადად საბავშვო), რომელიც 15000-მდე ეგზემპლარს შეადგენს, იძლევა ამის საშუალებას. ქართულ ლიტერატურასთან ერთად მოიცავს მსოფლიო ლიტერატურის საგანძურის გარკვეულ ნაწილს, რაც შეუქმნიათ სხვადასხვა ქვეყნის გამოჩენილ მწერლებს.

ამთავითვე ვიტყვით, რომ მუნიციპალიტეტის მერიიდან გულისხმიერი ზრუნვით ვართ გარემოსილი. დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისა და სრულყოფისათვის მათი მხრიდან ყოველწლიურად ქმედითი ღონისძიებები ტარდება.

მკითხველთა შინაარსიანი მომსახურებისათვის აქ ყველა პირობაა შექმნილი. გეგმაში გვაქვს მოვაწყოთ ზღაპრის ოთახი, კომპიუტერული მომსახურების ოთახი ბავშვებისათვის, ასევე ШМ და სპეც. საჭიროების მქონე ბავშვებისათვის შესაბამისი გარემო.

მკითხველთა ინტერესების გათვალისწინებით ბოლო პერიოდში შევიძინეთ 212 ეგზემპლარი ახალი წიგნი. სამკითხველო დარბაზში მოვაწყვეთ კუთხეები და გამოფენები. სისტემატურად ეწყობა სხვადასხვა სახის ღონისძიებები მიმართული ბავშვთა ცნობიერების გაზრდისათვის. საინტერესოდ ჩატარდა დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება აპრილში, ასევე ბავშვთა საერთაშორისო დღის, საქართველს დამოუკიდებლოს დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და ა.შ.

ბავშვების დიდი აქტივობის ვითარებაში ჩატარდა ღონისძიებები რუბრიკით: „წიგნი ჩვენი მეგობარია“, „როგორც უფალი, სამშობლო ერთია ქვეყანაზედა“, „კითხვა ჩვენი სულის ნაწილია“, „ზღაპრის დღე პატარებისათვის“, „ცოდნა თან დასდევს მცოდნესა“, „საახალწლო კარნავალი“, „ვიკითხოთ ხმამაღლა, შევცვალოთ სამყარო“—წიგნით საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით. მოეწყო „ზღაპრის დღე“ სკოლამდელ აღსაზრდელებთან. ლიტერატურული საღამოები: „შენ გიგალობ პატარავ“, „ძზე იცინის, ვარდფურცლობის დარია“ და ა.შ.

სისტემატურად ხდება პატარების სტუმრობა საბავშვო ბიბლიოთეკაში, როგორც ბაღების, ასევე სკოლის დაწყებითი კლასების მოსწავლეებისათვის, სადაც ეცნობიან ბიბლიოთეკის წიგნად ფონდს და მათი სარგებლობის წესებს. ეწყობა სარვამარტო და დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, სადაც პატარები დიდი მონდომებით ულოცავენ მშობლებს დედის დღესა და ქალთა დღეს.

ამჯერად სამკითხველო დარბაზში აქვთ ღია დაშვება წიგნებზე. მოწყობილია გამოფენები აქტუალურ საკითხებზე. შესაძლებელია ინტერნეტით სარგებლობა.

მინდა გულთბლად მოვიხსენიო თერჯოლის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილების მომსახურე პერსონალი: განყოფილების გამგე რუსუდან ნიშნიანიძე, უფროსი ბიბლიოთეკარები: თეა გურული და ირმა ბუცხრიკიძე, სპეციალისტები: ლადა ერმოლენკო და გალინა ფორჩხიძე. ერთიანი ძალისხმევით, ყველაფერს აკეთებენ დაწესებულების ეფექტური მუშაობისათვის. კერძოდ, ბავშვთა განათლების, ინტელექტუალური დონის ამაღლების და განვითარებისათვის ხელშეწყობის თვალსაზრისით.

ასევე გვთხოვა გაზეთში, წერილთან ერთად, გამოვაქვეყნოთ ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველი ბავშვების სია. მათ წიგნი უყვართ და აუცილებლად საუკეთესო მოქალაქეები აღიზრდებიანო.

აი, ისინიც: **ლიზი ჩუბინიძე, ანასტასია ამირანაშვილი, ელენე გურაბანიძე, ნინო თორთლაძე, ლუკა რობაქიძე, ქრისტინე და დავით ბუცხრიკიძეები, ლუკა გაფრინდაშვილი, ავთანდილ ურიადმყოფლი, ანდრია ქოჩიაშვილი, ანა და საბა ჯაბიძეები, თიკო და ბარბარე კუტივაძეები, ნია და ამირან რიჟამაძეები, ნოდარ რობაქიძე.**

ი. ერაძე

ღვთისმშობლის მადლი გვფარავდეს

ღვთისმშობელი, ყოვლადწმინდა მარიამი ყოველი ქრისტიანისა და განსაკუთრებით ქართველებისთვის, როგორც მისი წილხვედრი ქვეყნის შვილებისათვის სათაყვანებელი წმინდანია.

საეკლესიო კალენდრით, ყოველწლიურად, ერი და მრევლი აღნიშნავენ ღვთისმშობლის სახელთან დაკავშირებულ რამდენიმე მნიშვნელოვან დღეს, რომელთაგან ყველაზე მეტად პოპულარულია ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინება (მარიამობა) და ღვთის მშობლის შობა.

როგორც „თერჯოლის“ წინ ნომერში დაგპირდით მოგითხრობთ ღვთისმშობლის მიძინების (მარიამობა) და ღვთისმშობლის შობის შესახებ.

მიძინება ყოველდაწმიდა ღვთისმშობლისა
(მარიამობა)

„დღეს ჩვენ, ძმანო და დანო, ქრისტიანენო, ვასრულებთ ხსენებას ღვთის-მშობლის მიძინებისასა, ანუ მიცვალებისასა. გარნა ჩვენ არა ვართ მწუხარენი, არამედ გვიხარის, არა ვსტირით, არამედ ვდღესასწაულობთ. რისთვის არის ესრედ? მისთვის, რომ მიცვალება ყოვლად-წმიდის ღვთის- მშობელისა იყო მხოლოდ სამი დღით მიძინება, ანუ მშვიდობიანი და აღვსებული ნიშებითა და სასწაულებითა მოსვენება. ამისთვისაც სიკვდილსა მისსა ვუწოდებთ მიძინებად. გვიხარის ჩვენ და ვდღესასწაულობთ დღესა კიდევ მისთვის, რომ ყოვლად-წმიდა, შემდგომად გარდაცვალებისა, დასდგა მახლობლად ძისა თვისისა, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა, მლოცველი და შუამდგომელი ჩვენ ყოველთა ქრისტიანეთათვის“.

ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე) იმერეთისა

გადმოცემის თანახმად ღვთისმშობელს ჰქონდა ღია ფერის თმა, გამოხედვა სწრაფი და გამჭოლი, თვალები ნათელი და სუფთა, შავი წარბები, მოგრძო სახე, იყო საოცრად თავდაჭერილი და მშვიდი, ატარებდა უბრალო სამოსს, ცოტას ლაპარაკობდა. მისი ყოველი სიტყვა მადლით იყო აღსავსე და მადლმოსილი სიტყვების მოსასმენად სხვადასხვა ქვეყნიდან მოდიოდნენ. ღვთისმშობელი მათ რწმენით განამტკიცებდა, ამშვიდებდა და უდიდეს სულიერ ნუგეშს აძლევდა, უვლიდა ავადმყოფებს, ეხმარებოდა ობლებს...

* * *

ყოვლდაწმინდა ღვთისმშობელი იესო ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ ცხოვრობდა მოციქულ იოანე ღვთისმეტყველთან. იოანე მასზე, როგორც საკუთარ დედაზე ისე ზრუნავდა. მარიამი მოციქულებს იესოს ბავშვობაზე და ყრმობაზე უყვებოდა, იგი ხშირად ეწვეოდა იმ ადგილებს, რომლებიც მისი შვილის ხსოვნასთან იყო დაკავშირებული, ტიროდა, როცა იესოს ჯვარცმას იხსენებდა, ხარობდა მისი აღდგომით და ამაღლებით. ღვთისმშობელი ხშირად ევედრებოდა უფალს მისი სული მალე მიეღო ცათა სასუფეველში. ერთხელ, როცა მარიამი მაცხოვრის აკლდამაში ლოცულობდა, ცა გაიხსნა, მთავარანგელოზი გაბრიელი გამოეცხადა, ახარა, რომ სამ დღეში აღესრულება. ღვთისმშობლის სურვილით, ღმერთის ძალითა და სასწაულით, იერუსალიმში შეიკრიბა ყველა წმიდა მოციქული, თომას გარდა. ღვთისმშობელმა უამბო იოანეს ამ გამოცხადების შესახებ, მარიამმა თავისი სამოსელი ერთ ებრაელ ქალიშვილს გადასცა.

ღვთის განგებით, ეს უდიდესი სიწმინდე საქართველოში მოხვდა, ქართველი ხალხი 15 ივლისს ზუგდიდის ღვთისმშობლის ვლაქერნის ხატის სახელობის ტაძარში უდიდესი სიყვარულით და მოწიწებით აღნიშნავს ღვთისმშობლის კვართის დღესასწაულს.

ღვთისმშობელმა ისურვა გეთსიმანიაში, ელეონის მთასთან დაეკრძალათ...

ღვთისმშობელმა დალოცა შეკრებილი მოციქულები, რომლებმაც უამრავი სანთელი აანთეს, ღვთისმშობელი ეზიარა ქრისტეს სისხლსა და ხორცს. იგი მორთულ სარეცელში იწვა, ნეტარი აღსასრულისთვის შემზადებული. უეცრად ოთახში ღვთიური ცეცხლი გამოკრთა, ზეციდან იესო ქრისტე დაეშვა ანგელოზთა გუნდთან ერთად. მარიამმა სიხარულით შეჰღაღადა: ადიდებს სული ჩემი უფალსა და განიხარა სულმან ჩემმან ღვთისა მიმართ მაცხოვრისა ჩემისა, რამეთუ მოხედა სიმდაბლესა ზედა მხევლისა თავისასა.

ღვთისმშობელი ისეთი სიმშვიდით და ნეტარებით აღესრულა, რომ მოციქულებმა მისი გარდაცვალება მიძინებად აღიქვეს. ღვთისმშობლის სხეული სამარხში ჩაასვენეს, სამი დღე მოციქულებმა ლოცვასა და ფსალმუნების კითხვაში გაატარეს.ზეციდან უტკბილესი გალობა მოისმოდა.

მოციქული თომა სხეულის დაკრძალვას არ ესწრებოდა. იგი გეთსიმანიაში მესამე დღეს ჩამოვიდა. შეწუხებულმა საფლავის გახსნა ითხოვა, რათა უწმინდესი სხეულისათვის თაყვანი ეცა. მოციქულებმა ქვა გადააგორეს, მაგრამ საფლავი ცარიელი დახვდათ. იმ ღამესვე მოციქულებს გალობის ხმა შემოესმათ. მათ ანგელოზებით გარშემორტყმული ღვთისმშობელი დაინახეს „გიხაროდენ, მე თქვენთან ვარ აწ და მარადის, მუდამ ვიქნები თქვენთვის მლოცველი ღმერთის წინაშე“.

ქვაში გამოკვეთილი საფლავი ყველა მორწმუნისათვის თაყვანისცემის საგნად დარჩა. უძველესი დროიდან 28 აგვისტო ღვთისმშობლის მიძინების მოსახსენებლად არის დადგენილი. ყოველწლიურად ყველა მართლმადიდებლურ ეკლესიაში აღინიშნება ეს დღე, იგი ათორმეტ საუფლო დღესასწაულთა შორისაა, ინთება უთვალავი სანთელი. მრევლი ღვთისმშობელს შესთხოვს შემწეობას, რადგან იცის, რომ დაპირებისამებრ იგი მეოხია ყველასი, ვინც კი მიმართავს.

ტროპარი: შობამან შენმან, ღვთისმშობელო ქალწულო, სიხარული აუწყა ყოველსა სოფელსა, რამეთუ შენგან აღმოგვიბრწინდა მზე სიმართლისა, ქრისტე ღმერთი ჩვენი, დახსნა წყევა და მოგვმადლა კურთხევა, და განაქარვა სიკვდილი და მოგვანიჭა ჩვენ ცხოვრება საუკუნო.

კონდაკი: იოაკიმ და ანა ყვედრებისაგან უშვილებისა, ხოლო ადამ და ევა ხრწნილებისაგან და სიკვდილისა განთავისუფლდეს, უხრწნელეო, დიდებულითა და პატიოსნითა შობითა შენითა, ამას დღესასწაულობს ერიცა შენი, თანა-მდებობისაგან ბრალთასა ხსნილი, ღაღადებენ შენდამი: ბერწი შობს ღვთისმშობელსა და მზრდელსა ცხოვრებისა ჩვენისასა.

28 აგვისტოს ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაული აღინიშნა თერჯოლის მუნიციპალიტეტის სალოცავებში. ამ დღესასწაულის ღამისთევის მსახურებით აღესრულება ბარდუბნის წმ. დავით და კონსტანტინე მხეიძეების სახელობის ტაძარში. სადაც სოფლის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი შეიკრიბა. ღამისთევის ლოცვა აღასრულა ტაძრის წინამძღვარმა დეკანოზმა მამა ამირანმა (ქარქაშაძე).

რომელმაც ტაძარში შეკრებილ მრევლს ქადაგებით მიმართა, მიუღოცა მიძინების დღესასწაული და ისაუბრა ქართველი ერის იმ პასუხისმგებლობაზე, რომელიც აკისრია ღვთისმშობლის წინაშე. მანვე განმარტა წირვაზე წაკითხული სახარება, დასასრულს კი დალოცა იქ შეკრებილი მრევლი მათ კიდევ ერთხელ მიულოცა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაული. მამა ამირანის კურთხევით ტაძარში გამობრძანებული იყო 120 წლის ღვთისმშობლის მიძინების ხატი რომლის მოლოცვის საშუალება ჰქონდა იქ შეკრებილ მრევლს.

შობა ყოვლადწმიდა მარიამისა
(ღვთისმშობლობა)

ქრისტეს მოსვლამდე რამდენიმე ხნით ადრე, იუდეას ქალაქ ნაზარეთში ცხოვრობდნენ მოხუცებული პატიოსანი ადამიანები—იოაკიმე და ანა. ცოლ-ქმარი წუხდა, რომ შვილი არ ჰყავდათ. ისინი სათნო, წმინდა ცხოვრებით ცხოვრობდნენ, ცოლ-ქმარი იმედს არ კარგავდა რომ ღმერთი, რომლისთვისაც არაფერია შეუძლებელი, მათ შვილს მისცემდა. ერთხელ, დღესასწაულზე, იოაკიმე მსხვერპლის შესაწირად ტაძარში შევიდა. მღვდელმთავარმა შესაწირი არ მიიღო, მიზეზად უშვილობა წამოაძახა. მოხუცი დამწუხრდა, სახლში აღარ დაბრუნდა და უდაბნოში წავიდა. იქ მან მარხვასა და ლოცვაში გაატარა 40 დღე. ანას წუხილს ქმარზე დარდიც დაემატა, ანა ლოცულობდა, ის იყო დაამთავრა ლოცვა, რომ მთავარანგელოზი გაბრიელი გამოეცხადა და უთხრა: „ისმინა უფალმა შენი ლოცვა. შენ გეყოლება შვილი კურთხეული და უმაღლესი დედამიწაზე არსებულ ქალთა შორის. მისით მიეცემა ხსნა ქვეყნიერებას და მისი სახელი იქნება მარიამი“. გამოცხადებით შეძრული ანა უფლისათვის მადლობის სათქმელად იერუსალიმის ტაძრისაკენ გაემართა. უფლის ანგელოზი იოაკიმესაც გამოეცხადა. გავიდა ხანი, იშვა მარიამი. (ებრაულად ქალბატონს ან იმედს ნიშნავს). მარიამი გახდა დედა ღვთისა და ამით ყოველივე შექმნილის იმედად იქცა.

ყოვლადწიდა ღვთისმშობლის შობის ხსენება, როგორც მართლმადიდებლური ეკლესიის დღესასწაული, IV საუკუნეში დადგინდა.

ბედნიერი მშობლები სამი წელი ზრდიდნენ ღვთისგან ბოძებულ ასულს, შემდეგ კი დადებული აღქმის თანახმად, იერუსალიმის ტაძარში მიიყვანეს და უფალს შესწირეს. სახარების მიხედვით მარიამს კურთხეული და მიმადლებული ეწოდა იმ დღიდან, როდესაც მასში ქვეყნიერების მხსნელი ჩაისახა.

ხანძრები და მამაცი ადამიანები

ტყის ხანძრები (და, არა მხოლოდ ტყის) თითქმის ყოველწლიურად გვახსენებს თავს. რა იწვევს ტყის მასივების ცეცხლის ალში გახვევას? ამაზე მომავალში გვექნება საუბარი. ეს ცალკე თემაა. მამაცი მეხანძრეების ვალია ჩააქრონ და დაწვას გადაარჩინონ ტყე, ტყის ფაუნა, სახალხო დოვლათი, ადამიანების სიცოცხლე... ისინი ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ შემთხვევის ადგილზე და სტიქიასთან ორთაბრძოლაში თავიანთი სიმამაცისა და მოხერხებულობის დემონსტრირება მოახდინონ.

მეხანძრეებს თავიანთ თავზე ლაპარაკი არ უყვართ (მათ ამის დრო არ აქვთ!).

ისინი ვალდებულნი არიან—ჩააქრონ!

ისინი მიდიან და აქრობენ!

ხოლო როგორ და რანაირად, რა ძალისხმევით (ხშირად სიცოცხლის ფასად) მათ ამას შექმნილი სიტუაციები კარნახობთ.

ვერ ვიტყვით, რომ ეს რომანტიკაა...

რომ ეს „ცეცხლთან თამაშია“... არა, ეს ვაჟკაცობაა და საზრიანობის დემონსტრაციაა, ხშირ შემთხვევაში—თამამად ვიტყვით—თავგანწირვაა!

იყო მეხანძრე—ნიშნავს ხარ ვაჟკაცი, მოხერხებული და საზრიანი. სხვა ეპითეტი მათ შესამკობლად არ არსებობს.

მადლობა თითოეულ მათგანს, თერჯოლის შესაბამის სამსახურს.

მაინც, რა იწვევს „დაუპატიჟებელ სტუმარს?“

მიზეზი შეიძლება ბევრი იყოს. მათ შორის ბუნებრივი მოვლენები: ხანგრძლივი გვალვა და მაღალი ტემპერატურა, ჭექა-ქუხილი, ელვა, ე.წ. „მეხის დაცემა“ და... ადამიანების უყურადღებობა და დაუდევრობა.

გასულ წლებში ხანძრებმა დიდად დააზარალეს ტყეები (ჩვენთან და სხვაგან), ფლორა და ფაუნა. მეხანძრეებს მუდამ საბრძოლო რეჟიმში უხდებოდათ ყოფნა. თერჯოლის შესაბამისი სამსახურის ეკიპაჟებმა მათ ხელთ არსებული ტექნოლოგიური არსენალის მაქსიმალური გამოყენებით ქვეყანას გადაურჩინეს ბუნებით ნაბოძები სიმდიდრე, ტყის მასივები, კერძო და საზოგადოებრივი დოვლათი.

წელს მაინც განსაკუთრებული მასშტაბურობით გამოიჩინა თავი სტიქიამ. მასობრივმა ხანძრებმა მოიცვა ესპანეთი, პორტუგალია, აშშ, ავსტრალია და ა.შ.

საქართველოც არ იყო გამონაკლისი. ცეცხლი გაუჩნდა ბორჯომის ხეობას. მზის მხურვალებამ და ძლიერმა ქარებმა მოიცვეს ყოველი. ცეცხლის ალი შთანთქმით დაემუქრა არა მხოლოდ ტყის მასივს, არამედ მიმდებარედ არსებულ საცხოვრებლებს...

საფრთხე შეექმნა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენ ტრასასაც.

ჩვენთან საუბარში თერჯოლის სახანძრო სამაშველო სამსახურის ხელმძღვანელმა, კახა ვარდოსანიძემ თქვა: „როგორც წინა წლებში, ისე ამჯერადაც, ჩვენი სამსახური ინტენსიურად იყო ჩართული სამაშველო სამუშაოებში.

სამსახურის ბრიგადები ყოველდღიურად (მონაცვლეობით) ებრძოდნენ უსაშველოდ მაღალი ტემპერატურისა და ძლიერი ქარის პირობებში გაავებულ სტიქიას. მათ დიდი წვლილი დაიდეს მოძალადის დასათრგუნად.

პარალელურად სახანძრო-სამაშველო სამსახური სრულად ფლობდა სიტუაციას და საჭიროებისდა მიხედვით ებმებოდა ასე ვთქვათ შინა-ადგილობრივი ხანძრების სალიკვიდაციო პროცესებში. კერძოდ, ქუთაისში დროულად მივეშველეთ ერთ-ერთ სამედიცინო დაწესებულებას, რომელსაც სტიქია განადგურებით ემუქრებოდა, საფიჩხიის დასახლების მიმდებარედ ტყის საფარს ცეცხლი მოდებოდა... იქით ჭიათურა-რაჭის სასაზღვრო ზოლზე ტყე იწვოდა, სოფელ მუხურაშიც მივეშველეთ ადგილობრივებს.

3 სექტემბერს ჩვენი ბრიგადა კახეთში, ყვარლის რაიონის სოფელ შილდის მიმდებარედ ტყის ხანძრის ჩაქრობაში მონაწილეობდა...

საბედნიეროდ, ჩვენს მუნიციპალიტეტში რაიმე მასშტაბურ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

აქვე გვინდა მოვუწოდოთ მოსახლეობას მეტი სიფრთხილისაკენ, რომ ქარიან ამინდში არ დაუშვან ნაგვის დაწვა, სიგარეტის მწეველებსაც მართებთ სიფრთხილე.

უცნაურია, მაგრამ ყოფილა შემთხვევა, რომ ცეცხლმაქრი მარტივი მექანიზმის მოხმარების წესის უცოდინარობის გამო არასასურველი შედეგის მომსწრენი გავმხდარვართ.

ვიყოთ ყურადღებით და სტიქია ვერაფერს დაგვაკლებს.

კახა ვარდოსანიძე,
თერჯოლის სახანძრო-სამაშველო სამსახურის ხელმძღვანელი.
ნუგზარ გამყრელიძე,
ჟურნალისტი

***P.S.** ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სხვადასხვა მხარეში ხანძრის ქრობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ჯარის რეზერვისტებმა თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან:*

სერგო ჯიხვაშვილმა, აკაკი ქურციკიძემ, შოთა რობაქიძემ, დიმიტრი ცერცვაძემ, გურამ ლილუაშვილმა, ვლადიმერ ყუფარაძემ და ზურაბ ბეჟუაშვილმა.

დიდი მადლობა მათ!

ახალგაზრდა მკითხველს

დაგისვამთ შეკითხვებს, ჩაავლეთ თვალი... რა პასუხს გასცემთ?

გულით გავიხარებდით თუ დროს გამონახავდით და თქვენს მოსაზრებებს გამოგვიგზავნიდით, ეს ჩვენ წაგვეხმარებოდა მომავალში „ვითა ვქმნათ“... ეს გარკვეული პოზიტივის მომცემი იქნებდა ორივე მხარისათვის.

მაშ, დავიწყოთ:

—თქვენი საყვარელი მწერალი? პოეტი?

—რას პოულობთ მათს ნაწარმოებებში?

—ქ. თერჯოლაში სულ რაღაც შენდება. თქვენ რის აშენებას ინატრებდით?

განმარტეთ ქართული სიტყვა—ერქვანი.

—„უცხოობაში რაა სიამე“—გაიხსენეთ ავტორი.

—რეზო ინანიშვილის მოთხრობა „ფშაველები“ წაგიკითხავთ? ხომ კარგია, არა?

—სიხარულის ცრემლი რამ შეიძლება მოგგვაროთ?

ჭადრაკს თამაშობთ? დაასახელეთ (თქვენი აზრით) სამი გენიალური მოჭადრაკე.

—ახსენით ტყუილის ფენომენი.

—თერჯოლის პროფტექნიკური სასწავლებლის ფუნქციონირების განახლების შემთხვევაში რომელი სპეციალობის შესწავლას ისურვებდით?

„ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გავიარე, რაა მამული?“—(განმარტეთ)

—როცა ჩვენი სპორტსმენები (ვთქვათ მოჭადრაკეები, რაგბისტები, მოჭიდავეები, ძალოსნები და ა.შ.) იმარჯვებენ საერთაშორისო ასპარეზზე, ამას თქვენთვის მხოლოდ სპორტული მნიშვნელობა აქვს, თუ, ის კიდევ არის რაღაც სხვა.

რა არის ეს „რაღაც სხვა“?

გულით გავიხარებდით თუ ჩვენს შეკითხვებს უპასუხებდით.

თუ არა, მაინც მადლიერებას გამოგიხატავთ, რომ თვალი ჩაავლეთ და თქვენსავ თავს გაეპასუხეთ...

ჩვენთვის ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

გაზეთი „თერჯოლა“
მოამზადა ნუგზარ გამყრელიძემ

მედიკოსები კიდევ და კიდევ გვაფრთხილებენ

რომ: ცოფი საშიშია, რომ ეს ინფექციური დაავადებაა, რომელიც შეიძლება ყველა ცივსისხლიან ცხოველს, მათ შორის ძაღლს, კატას და ხორცის მჭამელ სხვა გარეულ ცხოველებს ჰქონდეთ.

ადამიანს ცოფი შეეყრება იმ შემთხვევაში თუ დაავადებული ცხოველი დაკბენს, დაკაწრავს ან დადორბლავს.

უნდა გვახსოვდეს, რომ ანტირაბიული იმუნოპროფილაქტიკის ჩატარება აუცილებლობას წარმოადგენს.

ცოფი გარდაუვალ სიკვდილს ნიშნავს. ცოფისაგან განკურნების გზა არ არსებობს.

დაგვიანებული მკურნალობის მიზანი დაავადებით მიყენებული ტანჯვის შემსუბუქებაა მხოლოდ.

როგო ავიცილოთ ცოფი?

უნდა ვერიდოთ უპატრონო, მაწანწალა ცხოველებთან კონტაქტს. სიფრთხილე გვმართებს შინაურ ცხოველებთანაც თუ არ ვართ დარწმუნებული, რომ ის ცოფზე აცრილია. მაგრამ თუ მაინც გვეეჭვება—ნაკბენი, ან ნაკაწრი, ან ცხოველის დორბლით დასვრილი კანი—მაშინვე ჩამოვიბანოთ საპნიანი წყლის ჭავლით და რომელიმე მადეზინფიცირებელი საშუალებით (იოდის ხსნარით, წყალბადის ზეჟანგით, კალიუმის პერმანგანატით) დავიმუშავებთ. შემდეგ კი აუცილებლად მივმართოთ ექიმ-რაბიოლოგს.

ანტირაბიული იმუნიზაციის ჩასატარებლად ჭრილობის სათანადო დამუშავება და დროული იმუნიზაცია საიმედოდ დაგვიცავს.

ცოფის პროფილაქტიკა

თქვენი ინფორმაციის საფუძველზე ვეტერინარული სამსახური ცხოველის დაკბენის მომენტიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში დააკვირდება პაციენტს და თუ ამ ხნის განმავლობაში მას ცოფი არ განუვითარდა, სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება და ექიმი შეგიწყვეტთ ვაქცინაციას. ხოლო თუ ცხოველს ცოფის ნიშნები გამოაჩნდა და მოკვდა აუცილებლად უნდა გააგრძელოთ ვაქცინაცია და ჩაიტაროთ მკურნალობის სრული კურსი.

რას გულისხმობს ანტირაბიული იმუნიზაცია?

ანტირაბიული იმუნოპროფილაქტიკა მოიცავს ორ კომპონენტს—პასიურ და აქტიურ იმუნიზაციას.

პასიური იმუნიზაცია ტარდება ანტირაბიული იმუნოგლობელინით, აქტიური იმუნიზაცია კი ანტირაბიული ვაქცინით.

ეს კომპონენტები ერთმანეთს ავსებს იმისათვის, რომ ვაქცინამ მაქსიმალური ეფექტი გამოავლინოს. სასურველია იმუნიზაცია დავიწყოთ იმუნოგლობულინით.

იმუნიზაციის აუცილებლობას, კურსსა და მიმდინარეობას ექიმი რაბიოლოგი განსაზღვრავს.

გაფრთხილებთ:

არავითარ შემთხვევაში არ დაელოდოთ როდის გავა 10 დღე, რათა შემდეგ დაიწყოთ ვაქცინაცია. ანტირაბიული იმუნიზაცია უნდა დაიწყოს დაკბენის მომენტიდან რაც შეიძლება მალე, თითოეული დაგვიანებული საათი ზრდის ჰიდროფობიის განვითარების საშიშროებას.

„თერჯოლა“

ცოტაც გავერთოთ

ჩაავლეთ თვალი და გვიპასუხეთ:

—იმ ეზოში ნუ შეხვალთ თუ ...

—ცეცხლი უკიდია, თუმცა არ იწვის ...

—ეს სიტყვა ფულად თანხასაც ნიშნავს, თანაც ძვლების დაბოლოებათა მოძრავ შეერთებასაც;

—ადამიანს ზოგჯერ ცეცხლი ეკიდება, ანუ უკვე უკიდია, მაგრამ არც ცეცხლ-მაქრისკენ გარბის, არც სახანძრო სამსახრს უხმობს საშველად (აგვიხსენით საქმის არსი).

—დიდგვალვიანობის გამო გაწეულ შრომას რა ემართება?

—გული ვის ეწვის?

სსიპ დავით კლდიაშვილის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის პედაგოგები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სკოლის ყოფილი პედაგოგი

დარეჯან კუბლაშვილი-ცხელიშვილისა

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

ახალგაზრდები საქართველოს მომავლიდან!

ნანა თურქაძე—ჩხარის №1 საჯარო სკოლა. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, სამართლის ფაკულტეტი, 100%-იანი დაფინანსება.

2021-2022 სასწავლო წელს 298 ახალგაზრდამ დაამთავრა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლები. მათ შორის 60 მედალოსანია (49 ოქრო 11 ვერცხლი.)

კურსდამთავრებულთა უმრავლესობამ უმაღლეს სასწავლებლებს მიაშურა და ბევრი გახდა კიდეც სტუდენტი.

აღსანიშნავია, რომ მათგან ხუთმა თერჯოლელმა ახალგაზრდამ სტუდენტობასთან ერთად 100%-იანი დაფინანსებაც მოიპოვა.

გიორგი ჯუღელი—თერჯოლის №2 საჯარო სკოლა. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ისტორიის ფაკულტეტი, 100%-იანი დაფინანსება.

„ყრმა სწავლაში მომშვიდდების“

(„მზეკაბანის“ წლის შედეგები)

თხუთმეტი წლისაა „მზეკაბანი“. ყოველი წელი წარმატებული ჰქონდათ, მაგრამ ეროვნულ გამოცდებზე წლევანდელ კურსდამთავრებულთა მიერ მიღწეულმა შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ამ წლის კურსდამთავრებული ყველა—თოთხმეტი მოსწავლე სტუდენტი გახდა, თანაც სასურველ უმაღლეს სასწავლებლებში და ფაკულტეტებზე. განსაკუთრებით ხაზგასასმელია, რომ ამ თოთხმეტი მოსწავლიდან უმაღლეს სასწავლებლებში არჩეულ პროფესიებზე სახელმწიფო 100%-იანი დაფინანსებით ისწავლის 3 კურსდამთავრებული:

ჯარჯი ჯამალაშვილი—100% , სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი—კომპიუტერული-მეცნიერება (ინგლისურენოვანი).

დიმა ჩუბინიძე—100%—სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი—კომპიუტერული მეცნიერებები (ინგლისურენოვანი).

მიხეილ ჭანტურიძე—100%—შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი—კომპიუტერული მეცნიერებები.

ასევე აღსანიშნავია სხვა კურსდამთავრებულთა შედეგები. აი ისინი:

ნანა ზარნაძე—70%—შპს კავკასიის უნივერსიტეტი—ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის (I-IV კლასები) ინტეგრირებული პროგრამა.

ქრისტინე დოლაკიძე—50%—სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი—ბიზნესის ადმინისტრირება.

გიორგი ჩაფიჩაძე—50% (+50% შიდა დაფინანსება) სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი—მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი).

ვასო ძოწენიძე—50%—სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი—ეკონომიკა (სახელმწიფო დაფინანსებით, უფასო ფაკულტეტი).

ქეთევან ქლიბაძე—შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის უნივერსიტეტი—ინფორმაციული ტექნოლოგიები.

გიორგი ქარქაშაძე—შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის უნივერსიტეტი—ინფორმაციული ტექნოლოგიები.

ზაქრო რობაქიძე—შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი—საერთაშორისო ურთიერთობები.

ბექა ჭანტურიძე—სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი—სამართალი.

ანი მაჭავარიანი—სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი—ჰუმანიტარულ-მეცნიერებათა ფაკულტეტი (უცხო ენები).

ლევან ზარნაძე—სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი—საკვები პროდუქტების ტექნოლოგია და უვნებლობა (სახელმწიფო დაფინანსებით, უფასო ფაკულტეტი).

ლიკა ობოლაძე—სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი—გამოყენებითი გრაფიკული დიზაინი.

* * *

უდაოა რომ ამ შედეგების უკან დგას „მზეკაბანის“ პედაგოგიური კოლექტივი, რომლის ყველა წევრი ზუსტად ასრულებს მათზე დაკისრებულ მოვალეობებს. ისინი არიან არა მარტო საგნის მცოდნენი, არამედ საინტერესო პიროვნებები. ძლიერია მათი აღმზრდელობითი ზემოქმედების ძალა და ავტორიტეტი. სწავლებასთან ერთად მოზარდებზე დადებით გავლენას ახდენს ისეთი ღონისძიებები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობასთან.

* * *

გურამიშვილის შეგონებები სწავლა-აღზრდაზე მნიშვნელოვანია მასწავლებლისა და მოსწავლისათვის, მაგრამ „ყრმის წკეპლის ცემით კივილი“ არ სჭირდებათ. მოსწავლეებს გაცნობიერებული აქვთ, რა უნდათ და სწავლაზე არიან ორიენტირებულნი. თვითგამორკვევის—საკუთარი თავის და ადგილის პოვნის პროცესი—სკოლაში მთავრდება. ხელს უწყობთ ოჯახთან მჭიდრო და მიზანმინართული კავშირი. სკოლაში მიღებული ცოდნა საკმარისია სტუდენტობისათვის—წლევანდელ მიღწევებში უნდა გამოვყოთ პედაგოგები: ქართული ენისა და ლიტერატურის მანანა წერეთელი, მათემატიკის ზურაბ კუპატაძე, ისტორიის ხათუნა დიდიძე, ინგლისურის ქეთევან გოგიაშვილი და ნანა სვანიძე.

განათლება საქართველოს მომავალია, იგი არის გზა თანამედროვე განვითარებულ სამყაროში—ამ გზით დადიან „მზეკაბანელები“. წარმატებები მათ.

ჟუჟუნა ცხადაძე

ჯარჯი ჯამალაშვილი—კერძო სკოლა „მზეკაბანი“. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კომპიუტერული-მეცნიერება (ინგლისურენოვანი), 100%-იანი დაფინანსება.

მიხეილ ჭანტურიძე—კერძო სკოლა „მზეკაბანი“. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, კომპიუტერული მეცნიერებები, 100%-იანი დაფინანსება.

დიმა ჩუბინიძე—კერძო სკოლა „მზეკაბანი“. სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, კომპიუტერული მეცნიერებები (ინგლისურენოვანი), 100%-იანი დაფინანსება.

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი **ვალერიან გოგიაშვილი** 599 92 49 75

მთავარი რედაქტორი **დავით კლდიაშვილი** 599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: gazetiterjola@mail.ru

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2

დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872